**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
**ბრძანება № 01-08/177**

**ქ. ბათუმი** **16 მარტი, 2020 წ.**

**ბსუ-ს ვებ ინტერფეისის დეველოპერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთი სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის 2020 წლის 10 მარტის MES 2 20 00286168 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი იქნა ბსუ-ს ვებ ინტერფეისის დეველოპერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ სტუდენტთა სია, რომლებიც შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის დაწყებიდან დღემდე არ გამოცხადებულან ბსუ-ში და არც გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ წარმოუდგენიათ წერილობითი ინფორმაცია.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის 2020 წლის 10 მარტის MES 2 20 00286168 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. დაწყებული იქნეს ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ბსუ-ს ვებ ინტერფეისის დეველოპერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების იმ პროფესიულ სტუდენტთა ***(დანართი №1)*** მიმართ, რომლებიც შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის დაწყებიდან (2019 წლის 25 ნოემბრიდან) დღემდე არ გამოცხადებულან ბსუ-ში და არც გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ წარმოუდგენიათ წერილობითი ინფორმაცია.

2. დაინტერესებულ პირებს ***(დანართი №1)***, ადმინისტრაციულ წარმოებაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, განემარტოთ, რომ შეუძლიათ 5 დღის ვადაში წარმოადგინონ ბსუ-ს კანცელარიაში წერილობითი მოსაზრებები გამოსაცემ აქტთან დაკავშირებით.

3. ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

4. ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება გამოიცეს 2020 წლის 23 მარტის შემდეგ, ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საქმის გარემოებების დეტალურად გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე.

5. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.

6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, შესაბამის ფაკულტეტს, პროფესიულ სტუდენტებს და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

8. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

**რექტორი, ასოცირებული პროფესორი** **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს ვებ ინტერფეისის დეველოპერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთი სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 16 მარტის № 01-08/177 ბრძანების

დანართი №1

ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

| № | პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი | პირადი ნომერი | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანების № და თარიღი |
|---|---|---|---|---|
| 1. | ანჟელა ბოლოგან | | ვებ ინტერფეისის დეველოპერი | 01-08/705<br>22.11. 2019 |
| 2. | თეიმურაზ მშვიდობაძე | | ვებ ინტერფეისის დიზაინერი | 01-08/705<br>22.11. 2019 |
| 3. | ლუკა ორდენიძე | | ვებ ინტერფეისის დიზაინერი | 01-08/705<br>22.11. 2019 |